საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

ეთიკის კომისიის შემადგენლობა:

კომისიის თავმჯდომარე: თორნიკე ბაქრაძე

კომისიის წევრები: კონსტანტინე გელაშვილი; ანა ხურციძე; მარიკა არევაძე; ქეთევან უტიაშვილი; ინგა სეხნიაშვილი; ხათუნა ფურელიანი; ირაკლი კორძახია; ია გაბედავა; არჩილ ჩოფიკაშვილი

საჩივრის ავტორი - მანანა ბერია

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 30.01.2017

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 008/17

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ირაკლი მახათაძის მიმართ /სიითი №2818/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ირაკლი მახათაძისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1. 2017 წლის 30 იანვარს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მანანა ბერიამ და მოითხოვა ადვოკატ ირაკლი მახათაძის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2. საჩივრის ავტორის განმარტებით, 2016 წლის 20 აგვისტოს დააკავეს მისი შვილი ნური ჭკადუა და გადაიყვანეს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ე.წ. მოდულის შენობაში, რის შემდეგაც მისი რძალი დაუკავშირდა ახლობლებს ადვოკატის მოსაძებნად. ოჯახის წევრების ახლობელმა, ლაშა ტყაბლაძემ ქუთაისიდან გამოაგზავნა ადვოკატი ირაკლი მახათაძე. ადვოკატი მოდულის

შენობაში გაესაუბრა ნური ჭკადუას, იქედან გამოსვლის შემდეგ კი მანანა ბერიას ზეპირსიტყვიერად შეუთანხმდა იურიდიული მომსახურების პირობებზე. მომსახურების გაწევის სანაცვლოდ ადვოკატმა ჰონორარის სახით მოითხოვა მხოლოდ 500 ლარი, რადგან ახლობლის მიერ იყო გამოგზავნილი. აღნიშნული თანხა მანანა ბერიამ ადვოკატს გადასცა იმავე დღეს, მანქანაში. მანანა ბერიას განმარტებით, ადვოკატი თავდაპირველად დაჰპირდა მას, რომ მისი შვილის საქმეზე საპროცესო შეთანხმებას გააფორმებდა, შემდეგ კი აიმედებდა, რომ საქმეზე გამამართლებელი შედეგი დადგებოდა.

1.3. მანანა ბერიას განმარტებით, 2016 წლის 29 აგვისტოს, ადვოკატ ირაკლი მახათაძეს მანქანის ექსპერტიზისათვის გადასცა 1150 (ათას ას ორმოცდაათი) ლარი, მისი რძლის - რუსუდან იოსავას და რძლის ძმის - ირაკლი იოსავას თანდასწრებით, თუმცა ექსპერტიზა პროკურატურის მიერ უკვე ჩატარებული იყო და ადვოკატის განმეორებით ექსპერტიზა აღარ ჩაატარა. ასევე, მანანა ბერიამ 2016 წლის 26 სექტემბერს საკუთარ სახლში ადვოკატს მისი შვილის - ხათუნა ჭკადუას და დისშვილის - ლევან ნაჭყებიას თანდასწრებით გადასცა 7000 (შვიდი ათასი) ლარი საპროცესო შეთანხმების გასაფორმებლად. საჩივრის ავტორის განმარტებით, მას ამ თანხის გადარიცხვა თავად სურდა პროკურატურის ანგარიშზე, ადვოკატის თანდასწრებით. ადვოკატმა დაარწმუნა საჩივრის ავტორი, რომ ნდობა ჰქონოდა მის მიმართ, რის გამოც მანანა ბერიამ ადვოკატს ხელზე გადასცა თანხა. მანანა ბერიას დისშვილმა მანქანით წაიყვანა ადვოკატი პროკურატურის შენობასთან თანხის გადასარიცხად, თუმცა ამ უკანასკნელს ეს თანხა პროკურატურის ანგარიშზე არ ჩაურიცხავს. სასამართლოს მთავარ სხდომაზე ადვოკატს არაფერი უხსენებია საპროცესო შეთანხმებაზე, რაზედაც ადვოკატმა მანანა ბერიას განუმარტა, რომ საქმისთვის ასე იყო საჭირო. ადვოკატისათვის 1150 ლარის და 7000 ლარის გადაცემის ფაქტზე მხარეებს შორის შედგა წერილობითი შეთანხმებები.

1.4. მანანა ბერიას განმარტებით, 2016 წლის 2 ნოემბერს, ადვოკატს გადასცა მანქანის საჯარიმო და ევაკუაციის თანხა 220 (ორას ოცი) ლარი. ასევე, საჩივრის ავტორმა ადვოკატს სხვა პიროვნების სახელსა და გვარზე, სს „ლიბერთი ბანკის“ საშუალებით სესხის სახით გადაუგზავნა 160 (ას სამოცი) დოლარი. ამის შემდგომ, საჩივრის ავტორს კვლავ დაუკავშირდა ადვოკატი და უთხრა, რომ ნური ჭკადუას სჭირდებოდა 150 (ას ორმოცდაათი) ლარი, რომელიც გამოართვა საჩივრის ავტორს. თუმცა მოგვიანებით მანანა ბერიამ ნური ჭკადუასთან საუბრისას გაარკვია, რომ ბრალდებულმა ადვოკატს არ სთხოვა თანხის მიტანა და შესაბამისად, თანხა ადვოკატს მისთვის არ გადაუცია. საჩივრის ავტორი ასევე განმარტავს, რომ ადვოკატს ეტაპობრივად გადასცემდა მგზავრობისთვის აუცილებელ თანხებს, რამაც საბოლოო ჯამში 300 (სამასი) ლარი შეადგინა.

1.5. საჩივრის ავტორის განმარტებით, მისი რძალი - რუსუდან იოსავა დაინტერესდა საქმის გარემოებებით და მივიდა პროკურორ მაია სილაგაძესთან, რომელთანაც გარკვეული კითხვები ჰქონდა საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით. პროკურორმა მას განუმარტა, რომ მისი მეუღლის საქმეზე საპროცესო შეთანხმება ვერ შედგებოდა და შესაბამისად, პროკურატურის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა არ იყო საჭირო. რუსუდან იოსავამ ადვოკატს მოსთხოვა მისთვის გადაცემული თანხების ან ქვითრების უკან დაბრუნება, რაზეც ადვოკატმა განაცხადა, რომ საქმეში ჩართული ჰყავდა ისეთი პირები, რომლებიც ყველაფერს მოაგვარებდნენ და ზედმეტი

ჩარევით მას ხელი უფრო ეშლებოდა. ასევე განმარტა, რომ მიღებული თანხებიდან 2000 (ორი ათასი) ლარი ოჯახის ახლობლისთვის - ლაშა ტყაბლაძისთვის ჰქონდა გადაცემული.

1.6. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი საქმესთან დაკავშირებით არ აძლევდა სრულ ინფორმაციას, ეუბნებოდა, რომ საქმეს აგვარებდა და მასში „ჩართული იყო ხალხი კალაძის დონეზე". საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ მას შემდეგ რაც თბილისის საქალაქო სასამართლოს სხდომაზე ნური ჭკადუამ განაცხადა, რომ დანაშაულს ნაწილობრივ ცნობდა, აიყვანა სხვა ადვოკატები, რომლებიც ცდილობდნენ გამამართლებელი განაჩენისთვის ბრძოლას. სხვა ადვოკატების ჩართვის შემდეგ ადვოკატი ირაკლი მახათაძე თავს არიდებდა სხდომებში მონაწილეობის მიღებას, რაც არ იყო გამოწვეული ადვოკატებს შორის სხვადასხვა სტრატეგიის არჩევით.

1.7. საჩივრის ავტორის განცხადებით, მას შემდეგ, რაც ადვოკატ ირაკლი მახათაძეს მოსთხოვა თანხის დაბრუნება, ის აღარ პასუხობდა სატელეფონო ზარებს. მანანა ბერია იძულებული გახდა ქუთაისში ჩასულიყო, სადაც ადვოკატს დაუკავშირდნენ და დაითანხმეს, რომ მისულიყო მანანა ბერიას რძლის - რუსუდან იოსავას ოჯახში. შეხვედრას ესწრებოდნენ ლაშა ტყაბლაძე, ინგა იოსავა და მანანა ბერიას და - ნონა ბერია. მათ ადვოკატ ირაკლი მახათაძეს მოსთხოვეს მიღებული თანხის უკან დაბრუნება, თუმცა ადვოკატმა განაცხადა, რომ ყველაფერი გააკეთა, რაც ევალებოდა და შესაბამისად, თანხის უკან დაბრუნების ვალდებულება არ გააჩნდა.

1.8. მანანა ბერიამ ადვოკატის მიმართ განცხადება შეიტანა პროკურატურის მთავარ სამმართველოში, სადაც დაიანგარიშეს ადვოკატისათვის გადაცემული თანხები, რომელმაც შეადგინა - 8500 ლარი და ამ საქმეზე დაიწყო გამოძიება. 2021 წლის 12 მარტს გამართული ეთიკის კომისიის სხდომაზე, საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ მან 2019 წლის 01 ივლისს სარჩელი წარადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოში ირაკლი მახათაძისთვის თანხის დაბრუნების მოთხოვნით.2019 წლის 11 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა მანანა ბერიას სარჩელი და ირაკლი მახათაძეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 7000 ლარის გადახდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში, თუმცა ადვოკატი თავს არიდებს გადაწყვეტილების აღსრულებას.

1.9. მანანა ბერიას განმარტებით, ადვოკატი უარს აცხადებს მისთვის გადაცემულ თანხების, კერძოდ, საპროცესო შეთანხმებისთვის გადახდილი 7000 (შვიდი ათასი) ლარის, ექსპერტიზის ჩასატარებლად გადახდილი 1150 (ათას ას ორმოცდაათი) ლარის, მანქანის ჯარიმის გადახდის მიზნით გადაცემული 220 (ორას ოცი) ლარის, ადვოკატისათვის გაგზავნილი 160 (ას სამოცი) აშშ დოლარისა და ადვოკატისთვის პირადად გადაცემული თანხის - 150 (ას ორმოცდაათი) ლარის დაბრუნებაზე. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მძიმე ეკონომიური ვითარებიდან გამომდინარე მისთვის მნიშვნელოვანია ადვოკატმა შეასრულოს სასამართლოს გადაწყვეტილება და დაუბრუნოს მას 7000 ლარი.

1.10. საჩივრის ავტორი ასევე ითხოვს ადვოკატ ირაკლი მახათაძის მიმართ ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრებას.

2. მოწმე - რუსუდან იოსავას ახსნა-განმარტება:

2.1. 2017 წლის 3 მარტს და 2018 წლის 9 ოქტომბერს, მანანა ბერიას რძალმა რუსუდან იოსავამ მოწმის სახით მონაწილეობა მიიღო საპროცესო კოლეგიის სხდომაში. რუსუდან იოსავა ასევე გამოიკითხა 2019 წლის 19 ივნისს ჩატარებულ განხილვის კოლეგიის სხდომაზე. 2021 წლის 12 მარტს, საჩივრის ავტორმა მანანა ბერიამ კვლავ იშუამდგომლა მოწმის სახით რუსუდან იოსავას გამოკითხვის თაობაზე. საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ რუსუდან იოსავა კვლავ დაადასტურებდა იმ გარემოებებს, რომლებზეც საპროცესო და განხილვის სხდომებზე ისაუბრა. ეთიკის კომისიამ განუმარტა საჩივრის ავტორს, რომ საქმეში არსებობდა მოწმე რუსუდან იოსავას მიერ მიცემული განმარტებები საპროცესო და განხილვის ეტაპებზე, რომლებსაც აქვს მტკიცებულებითი ძალა. იმ შემთხვევაში, თუ მოწმეს არ სურდა ახალი გარემოებების მითითება, ხოლო მოწინააღმდეგე მხარეს მოწმისთვის კითხვების დასმა. კომისია გადაწყვეტილების მიღების დროს კვლავ გაეცნობოდა და მხედველობაში მიიღებდა მის მიერ მიცემულ განმარტებებს. საჩივრის ავტორმა გაიზიარა ეთიკის კომისიის განმარტება და შუამდგომლობა მოხსნა მოწმის სახით რუსუდან იოსავას გამოკითხვის თაობაზე.

2.2. მოწმის განმარტებით, 2016 წლის 20 აგვისტოს დააპატიმრეს მისი მეუღლე ნური ჭკადუა, რის შემდეგაც დაუკავშირდა ახლობელ ადვოკატს ირმა ხარჩილავას. რუსუდან იოსავამ სთხოვა ირმა ხარჩილავას მისი სანაცნობო წრიდან გამომდინარე მოეძებნა და მასთან დაეკავშირებინა ადვოკატი, რომელიც თბილისში საქმიანობდა. ირმა ხარჩილავამ უთხრა, რომ გაესაუბრებოდა მეუღლეს - ლაშა ტყაბლაძეს. მოგვიანებით ლაშა ტყაბლაძემ დაურეკა რუსუდან იოსავას დედას, ინგა იოსავას და უთხრა, რომ მათ შეეძლოთ თბილისში წაეყვანათ მისი მეგობარი იურისტი, ირაკლი მახათაძე, რომელსაც ჰქონდა დრო სამართლებრივი დახმარების გასაწევად. ნური ჭკადუას ოჯახს გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ საქმეზე სხვა ადვოკატი აეყვანათ, ირაკლი მახათაძის დახმარება კი მხოლოდ ერთი დღით სჭირდებოდათ, რათა მისულიყო მოდულის შენობაში, გასაუბრებოდა დაკავებულ ნური ჭკადუას და მიღებული ინფორმაცია მიეწოდებინა ოჯახის წევრებისთვის.

2.3. ადვოკატი ირაკლი მახათაძე რუსუდან იოსავას დედამ ჩამოიყვანა ქუთაისიდან და მიიყვანა მოდულის შენობაში. ნური ჭკადუასთან გასაუბრების შემდეგ, შენობიდან გამოსულმა ადვოკატმა თავად გამოთქვა სურვილი, რომ მონაწილეობა მიეღო აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისთვის ჩანიშნულ სხდომაში, რაზედაც ნური ჭკადუას ოჯახის წევრები დაეთანხმნენ. ადვოკატმა იურიდიული მომსახურებისათვის მხოლოდ 500 ლარი მოითხოვა და საქმის წარმოების ბოლო ეტაპის ჩათვლით დამატებით ჰონორარზე უარი განაცხადა. ამ დღეს ადვოკატი დარჩა თბილისში, ნური ჭკადუას ოჯახში. მიუხედავად იმისა, რომ ნური ჭკადუას აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა შეეფარდა, აღნიშნულ სხდომაზე ადვოკატმა დაიცვა ნური ჭკადუას ინტერესები. რუსუდან იოსავა აღნიშნავს იგი „აქტიური“, „შეუპოვარი“ ადვოკატი ჩანდა, ამიტომ გადაწყვიტეს, რომ აღნიშნული საქმის წარმოება ირაკლი მახათაძეს გაეგრძელებინა. აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილება ირაკლი მახათაძემ გაასაჩივრა, თუმცა გადაწყვეტილება ძალაში დარჩა.

2.4. რუსუდან იოსავას განმარტებით, სასამართლო სხდომაზე მისმა მეუღლემ ნაწილობრივ აღიარა დანაშაული, თუმცა სხდომის მიმდინარეობის დროს ნური ჭკადუამ აღნიშნა, რომ აღიარება ადვოკატის მითითების შესაბამისად გააკეთა. რუსუდან იოსავამ ნური ჭკადუასთან შეხვედრა დაახლოებით ერთი წლის შემდეგ შეძლო. შეხვედრის დროს, ნური ჭკადუამ რუსუდან იოსავას უთხრა, რომ ირაკლი მახათაძე გაეცნო, როგორც ადვოკატი და როგორც ცოლის ძმის - ირაკლი იოსავას ძმაკაცი, მან რჩევა მისცა ნური ჭკადუას დანაშაული ნაწილობრივ ეღიარებინა, რადგან მიუხედავად იმისა, რომ მისი სჯეროდა, ამ ფაქტებს სასამართლო არ გაიზიარებდა.

2.5. მოწმის განმარტებით, ადვოკატი ირაკლი მახათაძე დაჰპირდა საჩივრის ავტორსა და მისი ოჯახის წევრებს საპროცესო შეთანხმების გაფორმებას. ადვოკატი რუსუდან იოსავას ოჯახს შევხდა ქუთაისში, სადაც შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ რუსუდან იოსავას დედ-მამა და ძმა. ადვოკატმა მათ განუმარტა, რომ საპროცესო შეთანხმების გასაფორმებლად საჭირო იყო 10 000 ლარი, მაგრამ ნაცნობობის გათვალისწინებით 7 000 ლარადაც შეძლებდა შეთანხმების გაფორმებას. აღნიშნული თანხა მანანა ბერიას და მისი ოჯახის წევრებს არ ჰქონდათ. თანხის შესაგროვებლად გაყიდეს სხვადასხვა ნივთები და 7 000 ლარი გადასცეს ადვოკატს.

2.6. რუსუდან იოსავას განმარტებით, მას გარკვეული ეჭვები ჰქონდა, რომ ადვოკატი ირაკლი მახათაძე მცდარ ინფორმაციას აწვდიდა და თანხებს იმ მიზნით არ იყენებდა რა მიზნითაც მიჰქონდა, ამიტომ დაუკავშირდა მას და მოსთხოვა, რომ გადახდილ თანხებზე შესაბამისი ქვითრები წარმოედგინა. მოწმემ ასევე აუხსნა ადვოკატს, რომ თავს უხერხულად გრძნობდა, რადგან მას საკუთარი ნაცნობების შუამავლობით დაუკავშირდა და სთხოვდა არ შეექმნა ისეთი სიტუაცია, რომ როგორც რძალს ოჯახში თავი უხერხულად ეგრძნო. მოწმის განმარტებით, ადვოკატ ირაკლი მახათაძეს მიღებული ჰქონდა შემდეგი თანხები: 1150 ლარი - რომელიც მას რუსუდან იოსავამ 2016 წლის აგვისტოს ბოლოს, საკუთარი ნივთების დალომბარდების შედეგად აღებული თანხით გადაუხადა მანქანის ექსპერტიზისათვის, თუმცა ადვოკატს ექსპერტიზა არ ჩაუტარებია; 7000 ლარი - რომელიც ადვოკატს ნური ჭკადუას ოჯახის წევრებმა გადასცეს 2016 წლის სექტემბერში საპროცესო შეთანხმებისათვის, რასაც რუსუდან იოსავა არ დასწრებია. ადვოკატს ასევე გადასცეს 220 ლარი ჯარიმის თანხის და მანქანის ევაკუაციისათვის, რომელიც ადვოკატმა მიიღო 2016 წლის ოქტომბრის ბოლოს, იმ პირობით, რომ 2 ნოემბერს მანქანა მესაკუთრეს - მანანა ბერიას დაუბრუნდებოდა. 2016 წლის 2 ნოემბერს ადვოკატმა განაცხადა, რომ ამ დროში ვერ მოახერხა საქმის მოგვარება, ამიტომ დამატებით დრო ითხოვა 5 ნოემბრამდე, თუმცა პირობა არც ამ ვადაში შეუსრულებია. მანანა ბერიამ ადვოკატს ლიბერთი ბანკის საშუალებით გადაუგზავნა 160 დოლარი, რომლის დაბრუნებას ადვოკატი დაჰპირდა. რუსუდან იოსავა დაახლოებით 4-5 ჯერ ესწრებოდა ადვოკატისათვის სამგზავრო თანხების, 50-50 ლარის გადაცემის ფაქტს.

2.7. რუსუდან იოსავას განმარტებით, საუბრის დროს ადვოკატი მის მიმართ აგდებულ დამოკიდებულებას იჩენდა, დასმულ შეკითხვებზე არასერიოზულ პასუხებს სცემდა, ხშირად თავს არიდებდა მასთან საუბარს და აღნიშნულს იმით ხსნიდა, რომ ავტომობილს მართავდა. ამის შემდეგ რუსუდან იოსავამ გადაწყვიტა, რომ ეჭვების გაქარწყლებისათვის გასაუბრებოდა გამომძიებელს და პროკურორს. დაუკავშირდა ადვოკატს და ისინი ერთად წავიდნენ გამომძიებელთან. გამომძიებელთან გასაუბრების შემდეგ რუსუდან იოსავამ შეიტყო, რომ

მანქანის დასაბრუნებლად მათ თანხის გადახდა არ უწევდათ. ადვოკატი ირაკლი მახათაძე ცდილობდა, რომ მისი და გამომძიებლის საუბრის თემა შეეცვალა. რუსუდან იოსავას განმარტებით, გამომძიებელთან შეხვედრის შემდეგ მან პროკურორთან შეხვედრა გადაწყვიტა. 2017 წლის 30 ნოემბერს დანიშნული იყო მოსამზადებელი სხდომა, ამიტომ ადვოკატმა ირაკლი მახათაძემ მას სთხოვა, რომ მოთმინება გამოეჩინა და პროცესის შემდეგ პროკურორს თვითონ შეახვედრებდა. რუსუდან იოსავა ადვოკატთან და ძმასთან - ირაკლი იოსავასთან ერთად მიდიოდა პროცესზე, მან მანქანაში ადვოკატს ისევ სთხოვა, რომ გადახდილი თანხების დამადასტურებელი ქვითრები წარმოედგინა, რამაც ადვოკატი გაანაწყენა. იმისათვის, რომ ადვოკატს დაწყებული საქმე ბოლომდე მიეყვანა, რუსუდან იოსავამ გადაწყვიტა, რომ ამ საკითხზე მას მოგვიანებით დალაპარაკებოდა. მოსამზადებელ სხდომამდე ადვოკატს პროკურორისათვის არ წარუდგენია არანაირი მტკიცებულება, რომელიც ნური ჭკადუას უდანაშაულობაზე მიუთითებდა, ადვოკატს მხოლოდ მეზობლების დახასიათება ჰქონდა მოძიებული, თუმცა პროკურორისთვის არც ეს წარუდგენია. მხარეთა მიერ შუამდგომლობების დაყენების ეტაპზე შვიდი ბრალდებულიდან ორი ბრალდებულის ადვოკატმა იშუამდგომლა გირაოს საფუძველზე ბრალდებულთა განთავისუფლების შესახებ, აღნიშნული შუამდგომლობები დაკმაყოფილდა. იმ ფაქტმა, რომ ადვოკატმა ირაკლი მახათაძემ მსგავსი შუამდგომლობა არ დააყენა რუსუდან იოსავას გაოცება გამოიწვია, ამიტომ ახსნა-განმარტების მისაღებად ადვოკატს პროცესის მიმდინარეობის დროს მისწერა. ადვოკატმა კი უპასუხა, რომ იცოდა რასაც აკეთებდა და უმჯობესი იქნებოდა, თუ ამ საკითხში სხვა არ ჩაერეოდა. მოსამზადებელ სხდომაზე პროკურორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების, ასევე მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე რუსუდან იოსავა ფიქრობდა, რომ საქმეზე საბოლოოდ გამამართლებელი განაჩენი დადგებოდა, თუმცა როცა ბრალდებული ნური ჭკადუას გამოკითხვა უნდა დაწყებულიყო, მასთან მივიდა ადვოკატი ირაკლი მახათაძე, რის შემდეგაც ბრალდებულმა ნაწილობრივ აღიარა დანაშაული. ნური ჭკადუას მიერ დანაშაულის აღიარების შემდეგ ადვოკატმა მიმართა მოსამართლეს, საპროცესო შეთანხმების გაფორმების მიზნით. მოსამართლემ კი უპასუხა, რომ აღნიშნული საპროცესო მოქმედება შუამდგომლობების დაყენების ეტაპზე უნდა გაეკეთებინა. პროცესის შემდეგ, ადვოკატი საათნახევრის განმავლობაში არ გამოჩნდა, შემდეგ კი რუსუდან იოსავამ ჰკითხა, თუ სად იყო მისთვის გადაცემული თანხა 7000 ლარი. ადვოკატმა უპასუხა, რომ ეს თანხა სპეციალურ ანგარიშზე ჰქონდა. რუსუდან იოსავამ სთხოვა ამ ანგარიშის ჩვენება, ადვოკატმა კი გაბრაზებით უთხრა: - „ხალხო რა გჭირთ, გინდათ საქმე გამაფუჭებინოთ?“ და დაჰპირდა, რომ საახალწლოდ ნური ჭკადუა სახლში იქნებოდა.

2.8. რუსუდან იოსავას განმარტებით, იგი შეხვდა პროკურორ მაია სილაგაძეს, საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებულ საკითხებში გარკვევის მიზნით. პროკურორმა მას განუმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში საპროცესო შეთანხმების გაფორმება შეუძლებელი იქნებოდა. პროკურორთან გასაუბრების შემდეგ რუსუდან იოსავამ დაურეკა ადვოკატ ირაკლი მახათაძეს, უთხრა, რომ მან ყველაფერი იცოდა საქმის ვითარების შესახებ და ამჯერად თანხის დაბრუნება მოსთხოვა. ადვოკატმა მას უხეშად უპასუხა და მიმართა სიტყვებით -„წადი ერთი შენიც“, თანხასთან დაკავშირებით კი უთხრა, რომ 2000 ლარი ლაშა ტყაბლაძეს გადასცა და ვალი დაუბრუნა. ამის შემდეგ რუსუდან იოსავა დაუკავშირდა ლაშა ტყაბლაძეს და სთხოვა, რომ

ადვოკატისგან თანხის დაბრუნებაში დახმარებოდა, რაზედაც მან უარი განაცხადა. ლაშა ტყაბლაძემ ასევე უარყო ირაკლი მახათაძისგან 2000 ლარის მიღების ფაქტი.

2.9. მოწმის განმარტებით, ნური ჭკადუას ინტერესების დაცვის მიზნით დამატებით აიყვანეს 2 ადვოკატი, რომლებმაც ნახეს რომ საქმეში არ არსებობდა მტკიცებულებები. ახალი ადვოკატების საქმეში ჩართვის შემდეგ ადვოკატი ირაკლი მახათაძე აღარ გამოცხადდა სასამართლო სხდომებზე და გამოუცხადებლობის თაობაზე სხვადასხვა განცხადებებს წარადგენდა. ადვოკატი ასევე არ დაესწრო პირველი ინსტანციის სასამართლოში გადაწყვეტილების გამოცხადებას.

3. ადვოკატის პოზიცია:

3.1. ადვოკატმა ირაკლი მახათაძემ, 2018 წლის 11 აპრილს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ახსნა-განმარტება, სადაც აღნიშნა, რომ განმცხადებელმა მანანა ბერიამ საჩივარში მიუთითა არასწორი გარემოებები. ადვოკატის განმარტებით, მანანა ბერიამ მის მიმართ იგივე პრეტენზიით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას, სადაც ასევე ცრუ ჩვენებები მისცა და მოითხოვა ადვოკატის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა.

3.2. ადვოკატმა ირაკლი მახათაძემ ზეპირი განმარტება წარმოადგინა მხოლოდ 2018 წლის 26 დეკემბერს საპროცესო კოლეგიის მიერ გამართულ სხდომაზე. ადვოკატს მონაწილეობა არ მიუღია 2019 წლის 19 ივნისს გამართულ განხილვის კოლეგიის სხდომაში და 2021 წლის 12 მარტს გამართულ ეთიკის კომისიის სრული შემადგენლობით გამართულ სხდომაში.

3.3. ადვოკატის განმარტებით, ბრალდებულ ნური ჭკადუას დასაცავად მას დაუკავშირდა ბრალდებულის მეუღლის მამა - გურამ იოსავა 2016 წლის ივლისი-აგვისტოს თვეში. ნური ჭკადუას ბრალი ედებოდა ტერორისტულ შეიარაღებულ ჯგუფთან თანამონაწილეობაში, მისი ავტომობილიდან ამოღებულ იქნა ცეცხლსასროლი იარაღი და ასაფეთქებელი საშუალებები. ადვოკატი დათანხმდა, რომ მოცემულ საქმეში მიეღო მონაწილეობა და დაეცვა ბრალდებულ ნური ჭკადუას ინტერესები. პირველ ეტაპზე მას გადასცეს 1150 ლარი, რომელიც მგზავრობის და სხვა დამატებითი ხარჯებისთვის იყო გათვლილი. ამ თანხაში შევიდოდა ექსპერტიზის ხარჯებიც იმ შემთხვევაში, თუ დაცვის მხარე არ დაეთანხმებოდა ბრალდების მხარის მიერ ჩატარებული ექსპერტიზის შედეგებს, თუმცა აღნიშნული ექსპერტიზის განმეორებით ჩატარების საჭიროება არ ყოფილა. 1150 ლარში შედიოდა ადვოკატის ჰონორარიც, კერძოდ, ინტენსიურ საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობის მიღება, აღკვეთის ღონისძიების შეფარდების პროცესში მონაწილეობა და მისი გასაჩივრება. აღნიშნულ თანხაზე წერილობითი შეთანხმება მოგვიანებით 2016 წლის 29 აგვისტოს შედგა. ადვოკატის განმარტებით, ეს იყო ბრალდების მხარის მიერ მტკიცებულებებით გაჯერებული საქმე, ასევე ბრალდებული ნაწილობრივ აღიარებდა დანაშაულს, შესაბამისად დიდი ალბათობით საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენი დადგებოდა, ამის თავიდან აცილების მიზნით კი ადვოკატი ყველაფერს აკეთებდა, რომ საპროცესო შეთანხმება გაფორმებულიყო. ადვოკატი ხვდებოდა ბრალდების მხარეს და ინტენსიურ მონაწილეობას იღებდა საგამოძიებო მოქმედებებში, მან იშუამდგომლა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეცვლაზე, თუმცა შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა, თუმცა არც საჩივარი დაკმაყოფილდა. ადვოკატი

ცდილობდა, რომ ბრალდების მხარეს შეთანხმებოდა და ამისათვის მოლაპარაკებებს აწარმოებდა, ცდილობდა რომ სასჯელის სახით გამოყენებული ყოფილიყო წელიწად-ნახევარი თავისუფლების აღკვეთა და შემდეგ პირობითი მსჯავრი.

3.4. ადვოკატის განმარტებით, მან ბრალდებულის ოჯახის წევრებს აუხსნა, რომ მათ შეეძლოთ აეყვანათ სხვა ადვოკატი, ხოლო თუ ის გააგრძელებდა ამ საქმეზე მუშაობას ამისათვის დამატებით ითხოვდა 7000 ლარს ჰონორარის სახით. ადვოკატის განმარტებით, მხარეები 2016 წლის 26 სექტემბერს წერილობით შეთანხმდნენ, რომ 7000 ლარს ჰონორარის სახით მიიღებდა, ხოლო საპროცესო შეთანხმება უნდა შემდგარიყო ჯარიმის გარეშე. ამ თანხის ფარგლებში ადვოკატს მონაწილეობა უნდა მიეღო ინტენსიურ საგამოძიებო მოქმედებებში და უნდა მიეღწია საპროცესო შეთანხმების გაფორმებისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მზად იყო 7000 ლარი ბრალდებულის ოჯახის წევრებისთვის დაებრუნებინა, რაზეც განმარტება წინასწარ, თანხის აღებამდე მისცა.

3.5. ადვოკატმა აღნიშნა, რომ მან მოამზადა საპროცესო შეთანხმების ტექსტი და განცხადება და პროკურორს წარუდგინა. ბრალდებულის ოჯახის წევრებმა ადვოკატი დაიბარეს თბილისში მათ საცხოვრებელ სახლში, სადაც პრეტენზია წაუყენეს, რომ განცხადება საპროცესო შეთანხმებაზე არ ჰქონდა მომზადებული. ადვოკატმა მათი თანდასწრებით დაურეკა პროკურორს, რომელმაც დაადასტურა, რომ განცხადება საპროცესო შეთანხმებაზე მიღებული იყო.

3.6. ადვოკატის განმარტებით, მასსა და ბრალდებულის ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობა დაიძაბა აღკვეთის ღონისძიების გადასინჯვის ეტაპზე გამართულ სასამართლო სხდომაზე, სადაც ბრალდებულმა დანაშაული ნაწილობრივ აღიარა. ადვოკატი უარყოფს იმას, რომ მან აიძულა ნური ჭკადუა დანაშაული ეღიარებინა, ვინაიდან ბრალდებულს დანაშაული ნაწილობრივ ჰქონდა აღიარებული, სანამ საქმეში ადვოკატი ჩაერთვებოდა. ადვოკატის განმარტებით მან მხოლოდ რჩევა მისცა კლიენტს, გაეგრძელებინა ინტენსიური თანამშრომლობა ბრალდების მხარესთან, რათა საპროცესო შეთანხმება გაფორმებულიყო. მანანა ბერია უკმაყოფილო იყო შედეგით, რაშიც ადვოკატს ადანაშაულებდა და მას მოსთხოვა, 7000 ლარის უკან დაბრუნება.

3.7. ადვოკატის განმარტებით, მას არასოდეს ჰქონდა მანანა ბერიასთან კომუნიკაციის პრობლემა. ამასთან, ყოველთვის ცდილობდა, რომ ბრალდებულს ოჯახის წევრებთანაც ჰქონოდა კომუნიკაცია, რის გამოც ციხის ადმინისტრაციისაგან ფარულად, ნური ჭკადუასთვის შეჰქონდა და გამოჰქონდა წერილები. ადვოკატის განმარტებით, მანანა ბერიასთვის არ უთქვამს, რომ საქმეში ჩართული იყო ხალხი „კალაძის დონეზე“, ასევე სადავოდ ხდის ეთიკის კომისიისათვის წარმოდგენილ მიმოწერებს და აღნიშნავს, რომ ამ მიმოწერის ავთენტურობა ექსპერტიზით ჯერ კიდევ არ არის დადასტურებული. ადვოკატი ასევე უარყოფს საჩივრის ავტორის პრეტენზიას შეურაცხყოფებთან და მუქარის ფაქტებთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ მანანა ბერია თავად ახორციელებდა მის მიმართ მუქარას. ადვოკატი ასევე უარყოფს 2000 ლარის ლაშა ტყაბლაძისათვის გადაცემის ფაქტს და განმარტავს, რომ ლაშა ტყაბლაძეს ამ საქმესთან არავითარი კავშირი არ ჰქონია გარდა იმისა, რომ მან დააკავშირა მანანა ბერიას ოჯახი მასთან.

3.8. ადვოკატის განმარტებით, მან ბრალდებულის ოჯახისგან 400 ლარი საჩუქრის სახით მიიღო მას შემდეგ, რაც ბრალდებული ნახა მოდულის შენობაში. ადვოკატი ირაკლი მახათაძე განმარტავს, რომ იგი მანანა ბერიას, ასევე ბრალდებულის ოჯახის სხვა წევრებს წინასწარ აცნობდა ინფორმაციას მოსალოდნელ ხარჯებთან დაკავშირებით. ასევე, ნაწილობრივ აწარმოებდა ხარჯთაღრიცხვას, კერძოდ შენახული აქვს საწვავის, კვების და სხვა მსგავსი ტიპის ხარჯების დამადასტურებელი ქვითრები. ადვოკატი აღნიშნავს, რომ იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულება მეორე მხარის ინიციატივით შეწყდა, შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ვერ შეძლო მომსახურების სრულად განხორციელება, არ აქვს თანხის ნაწილის დაბრუნების ვალდებულება, თუმცა ჰქონდა სურვილი თავისი ინიციატივით ბრალდებულის ოჯახისთვის გარკვეული თანხა დაებრუნებინა მათი მდგომარეობის გათვალისწინებით.

4. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

4.1. 2019 წლის 05 თებერვალს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ირაკლი მახათაძის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

4.2. საპროცესო კოლეგიამ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით მიიჩნია, რომ ადვოკატმა ირაკლი მახათაძემ დააღვია ჰონორარის ოდენობის განსაზღვრის, გაანგარიშების წესის და მოსალოდნელი ხარჯების შესახებ კლიენტის ინფორმირების ვალდებულება, ვინაიდან ადვოკატმა არ განუმარტა კლიენტს კონკრეტულად რა რაოდენობის თანხა იყო გათვალისწინებული ხარჯებისთვის და არ გამოყო ეს თანხა მის მიერ მიღებული ჰონორარისაგან.

4.3. საპროცესო კოლეგიამ ასევე მიიჩნია, რომ ადვოკატმა არ აწარმოა მინდობილი თანხების შესახებ ხარჯთაღრიცხვა და კლიენტის მიერ გადაცემული ფულადი თანხა არ განათავსა ცალკე - დამოუკიდებელ ანგარიშზე, რითაც საფრთხე შეუქმნა კლიენტის ქონებას.

4.4. საპროცესო კოლეგიის სხდომაზე გაკეთებული ადვოკატის განმარტების მიხედვით, მან არ დაუბრუნა მანანა ბერიას გამოუმუშავებელი ჰონორარი, იმ მოტივით, რომ ხელშეკრულება სწორედ მანანა ბერიას ინიციატივით შეწყდა. აღნიშნულთან დაკავშირებით, საპროცესო კოლეგიამ განმარტა, რომ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15-ე მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, არ აქვს მნიშვნელობა ვისი ინიციატივით წყდება ხელშეკრულება, გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ვალდებულება მაინც გააჩნია ადვოკატს, რისი ვალდებულებაც ეკისრებოდა ადვოკატ ირაკლი მახათაძეს. საპროცესო კოლეგიის შეფასებით, ირაკლი მახათაძის მიერ საპროცესო შეთანხმების გაფორმების მიზნით წინასწარ 7000 ლარის გამორთმევა, წარმოადგენს გარანტიას საქმის შედეგთან დაკავშირებით, რაც ადვოკატს ეკრძალება პროფესიული ეთიკის ნორმებით.

4.5. საპროცესო კოლეგიამ ასევე შეაფასა ადვოკატ ირაკლი მახათაძის აღიარება - ციხის ადმინისტრაციის გვერდის ავლით ციხიდან კლიენტის დავალებით წერილების შეტანა-გამოტანას თაობაზე და მიუთითა, რომ მსგავსი მოქმედება წარმოადგენს კანონიერების პრინციპის დარღვევას. საქმეში, საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილმა მტკიცებულებებმა

(ელექტრონული მიმოწერა) საპროცესო კოლეგიას შეუქმნა დასაბუთებულ ვარაუდი, რომ ადვოკატმა კლიენტს მიაწოდა ინფორმაცია, თითქოს „საქმე კალაძის დონემდე იყო ჩაწყობილი“, რაც ასევე კანონიერების ჩარჩოებს სცდება და წარმოადგენს ადვოკატის მიერ კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულების დარღვევას.

5. განხილვის კოლეგიის პოზიცია:

5.1 ეთიკის კომისიის მეორე დისციპლინური კოლეგიის 2019 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 36-ე მუხლის საფუძველზე, საქმე განსახილველად გადაეცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

5.2 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ საქმეში არსებულ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგად, ეთიკის კომისიის სხდომაზე შესაძლებელია დადასტურდეს ადვოკატის მხრიდან რამოდენიმე დისციპლინური გადაცდომის ჩადენა, რის გამოც ადვოკატს შესაძლებელია სახდელის სახით განესაზღვროს გაფრთხილებაზე მეტი, განსაზღვრული ვადით საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ან ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილებით საქმე განსახილველად გადასცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

II სამოტივაციო ნაწილი

6. საქმის ფაქტები:

6.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტები:

6.1.1 2016 წლის 20 აგვისტოს საჩივრის ავტორის - მანანა ბერიას შვილს, ნური ჭკადუას წარედგინა ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 25, 323[1].1 მუხლის საფუძველზე, რის გამოც გადაიყვანეს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დროებითი მოთავსების იზოლატორში.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- საჩივარი აღკვეთის ღონისძიების გასაჩივრების შესახებ.

6.1.2 2016 წლის აგვისტოში, მანანა ბერია ოჯახის ახლობლის, ლაშა ტყაბლაძის რჩევით დაუკავშირდა ადვოკატ ირაკლი მახათაძეს, რომელიც ცხოვრობდა ქუთაისში. ადვოკატი ირაკლი მახათაძე შეხვდა ნური ჭკადუას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შენობაში. იქიდან გამოსვლის შემდეგ კი მანანა ბერიას, ოჯახის წევრებთან ერთად შეუთანხმდა იურიდიული მომსახურების განხორციელებაზე. ადვოკატმა ორდერის გამოწერისთვის მოითხოვა 500 ლარი, რაც მას იმავე დღეს გადაეცა. ადვოკატის განმარტებით ეს იყო საჩუქარი 400 ლარის ოდენობით.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- საჩივრის ავტორის პოზიცია (პარ. 1.2);
- მოწმის განმარტება (პარ. 2.2; 2.3).

- ადვოკატის პოზიცია (პარ.3.8)

6.1.3 2016 წლის 29 აგვისტოს ადვოკატ ირაკლი მახათაძესა და მანანა ბერიას შორის გაფორმდა წერილობითი შეთანხება, რომლის მიხედვით ადვოკატმა მიიღო 1150 ლარი და იკისრა ვალდებულება განეხორციელებინა ბრალდებულ ნური ჭკადუას ინტერესების დაცვა, გამოძიებაში და სასამართლოში დაცვის კუთხით მოეთხოვა ექსპერტიზის ჩატარება, კანონის გათვალისწინებთ განეხორციელებინა დაცვისთვის საჭირო და აუცილებელი საგამოძიებო მოქმედებები.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა პოზიცია (პარ. 1.9; 3.3);
- მოწმის განმარტება (პარ. 3.3);
- მხარეთა შორის გაფორმებული 29.08.2017 წლის შეთანხმება N111.

6.1.4 1150 ლარი ითვალისწინებდა ავტომანქანაზე ექსპერტიზის ჩატარების ხარჯებსაც.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- ადვოკატ ირაკლი მახათაძის განმარტება (პარ. 3.3).

6.1.5 2016 წლის 26 სექტემბერს ადვოკატ ირაკლი მახათაძესა და მანანა ბერიას შორის შედგა წერილობითი შეთანხმება, რომლის მიხედვით ადვოკატმა ირაკლი მახათაძემ აიღო ვალდებულება განეხორციელებინა ბრალდებულის, ნური ჭკადუას კანონიერი ინტერესების დაცვა. კერძოდ, შეთანხმებაში აღინიშნა, რომ „აღნიშნული ვალდებულების თანახმად, ადვოკატმა ირაკლი მახათაძემ აიღო ვალდებულება მიაღწიოს მისი დაცვის ქვეშ მყოფი ბრალდებულის ნური ჭკადუას მიმართ საპროცესო შეთანხმებას, სასჯელის უმდაბლეს ზღვართან დაკავშირებით“. მანანა ბერიამ ადვოკატს გადასცა 7000 ლარი, რაც განკუთვნილი იყო ბრალდებულ ნური ჭკადუას საპროცესო შეთანხმებისათვის. შეთანხმებაში მითითებული იყო, რომ „პირობის დარღვევის შემთხვევაში ადვოკატი ირაკლი მახათაძე ვალდებულია, ხსენებული თანხა 7000 ლარი სრულად დაუბრუნოს ბრალდებულ ნური ჭკადუას დედას და ოჯახს შესაბამისი ანგარიშიდან“.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- მხარეებს შორის გაფორმებული 26.08.2016 წლის შეთანხმება N104.

6.1.6 ადვოკატმა არ მიმართა პროკურატურას საპროცესო შეთანხმების გაფორმების მოთხოვნით. ადვოკატმა მხოლოდ სასამართლო სხდომაზე დააყენა შუამდგომლობა აღნიშნულის თაობაზე, რა დროსაც მოსამართლემ განუმარტა, რომ შუამდგომლობების დაყენების ეტაპი გასული იყო. ბრალდებულ ნური ჭკადუასთან არ გაფორმდა საპროცესო შეთანხმება.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- საჩივრის ავტორის პოზიცია (პარ. 1.5);
- მოწმის განმარტება (პარ. 2.7).

6.1.7 ადვოკატმა ირაკლი მახათაძემ არ ჩაატარა ალტერნატიული ექსპერტიზა ნური ჭკადუას კუთვნილ ავტომანქანაზე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა პოზიციები (პარ. 1.5; 3.3);
- მოწმის განმარტება (პარ. 2.7).

6.1.8 ადვოკატმა ირაკლი მახათაძემ ბრალდებულის დაცვა შეწყვიტა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასრულებამდე, მას შემდეგ რაც საჩივრის ავტორის ინიციატივით საქმეში დამატებით ჩაერთო სხვა ადვოკატები და ადვოკატი ირაკლი მახათაძე საკუთარი ინიციატივით აღარ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- საჩივრის ავტორის პოზიცია (პარ. 1.6);
- მოწმის განმარტება (პარ. 2.9).

6.1.9 მანანა ბერიამ თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ადვოკატ ირაკლი მახათაძისთვის თანხის დაკისრების მოთხოვნით. თბილისის საქალაქო სასამართლომ 2019 წლის 11 სექტემბერს მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა მანანა ბერიას სარჩელი და მოპასუხე ირაკლი მახათაძე მანანა ბერიას სასარგებლოდ დაეკისრა 7000 ლარის გადახდა. 2019 წლის 04 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით გაიცა სააღსრულებლო ფურცელი.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- საჩივრის ავტორის პოზიცია (პარ. 1.8);
- თბილისის საქალაქო სასამართლოს 11.08.2019 წლის გადაწყვეტილება საქმეზე N2/155-40;
- 04.11.2020 წლის სააღსრულებო ფურცელი საქმეზე N2/15540-19.

6.2 საქმეში სადავო გარემოებაა ადვოკატის მიერ საჩივრის ავტორისგან მიღებული თანხების - 1150 ლარის და 7000 ლარის მიზნობრიობა, ვინაიდან მხარეებმა ამასთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიციები წარმოადგინეს:

6.2.1 მანანა ბერიას განმარტებით ადვოკატ ირაკლი მახათაძეს 1150 ლარი გადაეცა მანქანის ექსპერტიზისთვის, ხოლო ადვოკატ ირაკლი მახათაძის განმარტებით საჩივრის ავტორისგან მიღებული თანხა გათვალისწინებული იყო საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობისთვის, აღკვეთის ღონისძიების შეფარდების პროცესში მონაწილეობისათვის და განჩინების გასაჩივრებისთვის, ამ თანხაში ასევე შედიოდა ექსპერტიზის ხარჯებიც იმ შემთხვევაში თუ დაცვის მხარე არ დაეთანხმებოდა ექსპერტიზის შედეგებს. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილების მიხედვით, რომელიც ეფუძნებოდა მოსარჩელე მანანა ბერიას მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებას, აღნიშნულია, რომ 1150 ლარი

წარმოადგენდა მომსახურების თანხას. შედეგად ეთიკის კომისია ადგენს, რომ 1150 ლარი წარმოადგენდა საადვოკატო მომსახურების თანხას.

6.2.2 მანანა ბერიას განმარტებით ადვოკატ ირაკლი მახათაძეს 7000 ლარი გადაეცა საპროცესო შეთანხმებით გათვალისწინებული ჯარიმისთვის და მას ეს თანხა უნდა ჩაერიცხა პროკურატურის ანგარიშზე. ადვოკატი აღნიშნავს, რომ მას უნდა მიეღწია საპროცესო შეთანხმებისათვის, რისთვისაც ჰონორარის სახით განისაზღვრა 7000 ლარის გადახდა. იმ შემთხვევაში, თუ საპროცესო შეთანხმება არ გაფორმდებოდა, ადვოკატი აღნიშნულ თანხას საჩივრის ავტორს დაუბრუნებდა. თბილისის საქალაქო სასამართლომ 2019 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილებით, მხარეთა შორის გაფორმებული ხელწერილის საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ 7000 ლარი გათვალისწინებული იყო „ბრალდებულ ნური ჭკადუას საპროცესო შეთანხმებისათვის“, სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ ბრალდების მხარესთან საპროცესო შეთანხმების გაფორმება არ შედგა, რის გამოც ადვოკატს თანხის დაბრუნების ვალდებულება წარმოეშვა. ეთიკის კომისიას წარმოდგენილი მტკიცებულებათა შეჯერებით, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია თბილისის საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილება, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ არ არის წარმოდგენილი არგუმენტი, რომელიც გამორიცხავდა სასამართლო გადაწყვეტილებისთვის პრეიუდიციის მინიჭებას, ადგენს, რომ 7000 ლარი იყო საპროცესო შეთანხმების ფარგლებში ჯარიმის გადასახდელად ადვოკატისთვის ავანსად გადაცემული თანხა,

7. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მხარეთა ახსნა-განმარტებებს და გადაწყვიტა, რომ ადვოკატ ირაკლი მახათაძის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომები.

8. სამართლებრივი შეფასება:

8.1. ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატ ირაკლი მახათაძის მიერ დარღვეულია კეთილსინდისიერი და კვალიფიციური წარმომადგენლობის ვალდებულება, ვინაიდან მან მანანა ბერიას მიაწოდა არასწორი ინფორმაცია, რომ საპროცესო შეთანხმების გაფორმებისთვის საჭირო იყო 10 000 ლარი, თუმცა საკუთარი სანაცნობო წრის დახმარებით საპროცესო შეთანხმების გაფორმებას 7 000 ლარშიც შეძლებდა და უთხრა, რომ ნური ჭკადუასთვის საპროცესო შეთანხმების გაფორმების მიზნით აწარმოებდა მოლაპარაკებებს. ასევე, ადვოკატი საჩივრის ავტორს შეუთანხმდა, რომ გამოიყვანდა ნური ჭკადუას ავტომობილს საჯარიმო სადგომიდან და ჩაატარებდა მანქანაზე ექსპერტიზას, თუმცა აღნიშნული მოქმედებები ადვოკატს არ განუხორციელებია.

8.2. ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატის მხრიდან შემდეგი მუხლების დარღვევის თაობაზე:

„ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“ („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა).

„ადვოკატმა ... კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი (აპეკ), მუხლი 8.5).

8.3. კლიენტისთვის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყების მთავარი მიზანი სასურველი სამართლებრივი შედეგის მიღწევაა. შესაბამისად, კლიენტი ცდილობს ურთიერთობა დაიწყოს ისეთ პირთან, რომელსაც აქვს სათანადო კვალიფიკაცია და შესწევს უნარი მისი ინტერესები სათანადოდ წარმოაჩინოს. შესაძლებელია სასურველი შედეგი ყველა შემთხვევაში ვერ დადგეს, მაგრამ ადვოკატი ვალდებულია სამართლებრივად სწორი და აუცილებელი მოქმედებები განახორციელოს, რადგან კლიენტს არ დარჩეს მისი ინტერესების უგულებელყოფის განცდა.

8.4. ადვოკატს, როგორც ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობაში ძლიერ მხარეს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც დაცვის ქვეშ მყოფი პირი დაკავებულია, აქტიური როლი ენიჭება, რადგან მან დაიცვას შედარებით სუსტი მხარის ინტერესები. კლიენტის დაცვის პროცესში ადვოკატი ვალდებულია კანონით განსაზღვრული უფლებები კეთილსინდისიერად გამოიყენოს და დაცვის პროცესში განხორციელებული მოქმედებები კვალიფიციურად შეასრულოს. კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის პრინციპის ძირითადი მიზანი სწორედ კლიენტის ინტერესებზე მორგებული სამართლებრივი მოქმედებების განხორციელებაა, რაც ემსახურება ადვოკატის პროფესიისადმი ნდობის მოპოვებას და მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებას.

8.5. „ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით და მის დასაცავად უნდა გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალება, რათა კლიენტი სათანადოდ იყოს წარმოდგენილი და ადვოკატისთვის მინდობილი საქმის თაობაზე მიიღოს კვალიფიციური და სრული მომსახურება“ (ეთიკის კომისიის 2011 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება, საქმეზე №017/11).

8.6. კომისიის მიერ დადგენილია, რომ ადვოკატმა ირაკლი მახათაძემ ვალდებულება აიღო მანანა ბერიას მიმართ, დაეცვა მისი შვილის - ნური ჭკადუას ინტერესები. ადვოკატი ჩართული იყო საგამოძიებო ეტაპზე და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის მიმდინარეობისას. შეთანხმების შესაბამისად, ადვოკატმა რამდენჯერმე ინახულა ნური ჭკადუა წინასაპატიმრო დაწესებულებაში, დაესწრო აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მიზნით გამართულ სხდომას და გაასაჩივრა აღკვეთის ღონისძიების თაობაზე მიღებული განჩინება. ადვოკატისა და საჩივრის ავტორის შეთანხმება ასევე ითვალისწინებდა ადვოკატის მხრიდან სხვა ვალდებულებების შესრულებას, რაც ადვოკატის მხრიდან არ განხორციელებულა: ადვოკატს უნდა ჩაეტარებინა ალტერნატიული ექსპერტიზა ნური ჭკადუას ავტომობილზე და უნდა მიემართა კანონით განსაზღვრული პროცედურებისთვის საპროცესო შეთანხმების გასაფორმებლად. ადვოკატს ალტერნატიული ექსპერტიზა არ ჩაუტარებია. ასევე არ არის წარმოდგენილი საპროცესო შეთანხმების დადების მიზნით ადვოკატის მხრიდან რაიმე სახის მოქმედების მტკიცებულება - საპროცესო შეთანხმების დადებისთვის ბრალდებულის თანხმობის მოპოვება, ბრალდების მხარისთვის საპროცესო შეთანხმების გაფორმების თაობაზე წერილობითი შეთავაზება. შესაბამისად, ადვოკატი ირაკლი მახათაძე გარდა იმისა, რომ არ ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებებს, არასწორ ინფორმაციას აწვდიდა კლიენტს. კერძოდ,

ადვოკატი საჩივრის ავტორს ეუბნებოდა, რომ აწარმოებდა მოლაპარაკებებს საპროცესო შეთანხმების გაფორმებისათვის, რასაც საკუთარი სანაცნობო წრის დახმარებით 7000 ლარში შეძლებდა.

8.7. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა იმ გარემოებების დადასტურება, რომ ის გულისხმიერად მოეკიდა კლიენტის საქმეს და მის წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულების მიზნით შესაბამისი ღონისძიებები გაატარა, თუმცა ირაკლი მახათაძეს ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენია ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები, მან მონაწილეობა არ მიიღო ეთიკის კომისიის სხდომებში დამატებითი განმარტებების მიცემის მიზნით. შესაბამისად, ადვოკატმა ვერ შეძლო საჩივრის ავტორის პრეტენზიების გასაქარწყლებლად მტკიცებულებების წარმოდგენა და თავი აარიდა პრეტენზიებზე შეპასუხებას.

8.8. ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატ ირაკლი მახათაძის მხრიდან გაწეული მომსახურება არ შეიძლება ჩაითვალოს კვალიფიციურ და კეთილსინდისიერ წარმომადგენლობად. ადვოკატის მხრიდან კლიენტის შეცდომაში შეყვანით და ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით კლიენტს წაერთვა ეფექტური დაცვის შესაძლებლობა. სამართალწარმოებაში კი მნიშვნელოვანია სამართლებრივი მოქმედებების დროულად და ეფექტურად წარმართვა, რადგან ხშირ შემთხვევაში დროის გასვლასთან ერთად რთულდება ან შეუძლებელი ხდება ამა თუ იმ ფაქტის მტკიცება ან რომელიმე მოქმედების განხორციელება.

8.9. ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა ირაკლი მახათაძემ კლიენტს არ მიაწოდა ზუსტი ინფორმაცია ჰონორარის ოდენობისა და გამოთვლის წესის, ასევე საქმის მიმდინარეობის შესახებ და არ განუმარტა ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რის გამოც დაარღვია შემდეგი ნორმები:

> *„ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან“* („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2).
>
> *„ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ“* (აპეკ, მუხლი 8.6).

8.10. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა ხშირ შემთხვევაში არ ატარებს უსასყიდლო ხასიათს. ამ ურთიერთობის, როგორც ყველა სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარების დროს, მხარეები ურთიერთშეთანხმებით განსაზღვრავენ ურთიერთობის პირობებს, მათ შორის ურთიერთშეთანხმებით განსაზღვრავენ იურიდიული მომსახურების ანაზღაურების ოდენობას. ადვოკატს პროფესიული ვალდებულებებით ეკისრება მომსახურების ანაზღაურების ოდენობის და მისი გამოთვლის წესის გარდა, ინფორმაცია მიაწოდოს კლიენტს საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ.

8.11. ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია უნდა იყოს დროულად და კვალიფიციურად მიწოდებული, რაც გულისხმობს იმას, რომ კლიენტისთვის ურთიერთობის დაწყებიდან საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე გასაგები ფორმით უნდა იქნეს გადაცემული

ინფორმაცია, რათა მას შესაძლებლობა ჰქონდეს დროულად მოიპოვოს აუცილებელი თანხები და იცოდეს მის მიერ გადახდილი თანხა რას მოხმარდება.

8.12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა განმარტავს, რომ „კლიენტისათვის საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია, ხოლო სრული და ზუსტი ჩანაწერის წარმოება მოიცავს კლიენტის საქმეზე ფინანსურ დანახარჯებთან დაკავშირებული ინფორმაციის შემცველი ყველა დოკუმენტის (ხელშეკრულება, საბანკო ქვითრები, საგადასახადო დავალებები, ცნობები და სხვ.) წარმოებას“ (უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტება საქმეზე დს-შ/1-17).

8.13. საქმის მასალებით დადგენილია, რომ საჩივრის ავტორმა ადვოკატს სხვადასხვა დროს გადასცა სხვადასხვა ოდენობის თანხები, რომლებიც გათვალისწინებული იყო მანქანის ექსპერტიზისათვის და საპროცესო შეთანხმებისათვის, თუმცა ადვოკატს კლიენტისთვის არ მიუწოდებია კონკრეტული ინფორმაცია აღნიშნული თანხები ითვალისწინებდა მხოლოდ საქმის წარმოების ხარჯებს თუ ასევე ითვალისწინებდა ადვოკატის ჰონორარს.

8.14. წერილობითი შეთანხმებაში მანქანის ექსპერტიზისათვის მითითებულია შემდეგი: *„დღეის რიცხვს, ადვოკატმა ირაკლი მახათაძემ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ბრალდებულის ნური ჭკადუას დედამ, მანანა ბერიამ გადმომცა თანხა 1150 ლარის ოდენობით. ადვოკატი ირაკლი მახათაძე იღებს ვალდებულებას განახორციელოს ბრალდებულ ნური ჭკადუას ინტერესების დაცვა მოითხოვოს გამოძიებაში და სასამართლოში, დაცვის კუთხით, ექსპერტიზების ჩატარება, კანონის გათვალისწინებით განახორციელოს დაცვისთვის საჭირო და აუცილებელი საგამოძიებო მოქმედებები“.* ხელწერილში ერთმანეთისგან არ არის გამიჯნული ადვოკატის ჰონორარი და საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯების ოდენობა. შესაბამისად, ადვოკატს არ ჰქონდა პროფესიული ნორმებით დადგენილი ვალდებულება შესრულებული, რადგან მან არ მიაწოდა კონკრეტული ინფორმაცია კლიენტს თუ ზუსტად რას მოხმარდებოდა მიღებული 1150 ლარი. აღნიშნული ინფორმაცია ასევე არ იყო დაკონკრეტებული ხელწერილში, რომლის შედგენის ერთ-ერთი მთავარი მიზანი თანხის მიზნობრიობის დაკონკრეტება უნდა ყოფილიყო.

8.15. თანხის მიზნობრიობა არ არის დაკონკრეტებული 2018 წლის 26 სექტემბერს გაფორმებულ ხელწერილშიც, სადაც შემდეგი მითითება გაკეთდა: *„ადვოკატი, ირაკლი მახათაძე იღებს ვალდებულებას განახორციელოს ბრალდებულის, ნური ჭკადუას კანონიერი ინტერესების დაცვა. კერძოდ, კი აღნიშნული ვალდებულების თანახმად, ადვოკატი ირაკლი მახათაძე იღებს ვალდებულებას შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების მიხედვით, მიაღწიოს მისი დაცვის ქვეშ მყოფი ბრალდებულის ნური ჭკადუას მიმართ საპროცესო შეთანხმებას, სასჯელის უმდაბლეს ზღვართან დაკავშირებით. დღეის რიცხვით, ბრალდებულ ნური ჭკადუას დედამ, მანანა ბერიამ ადვოკატს, ირაკლი მახათაძეს გადასცა თანხა 7000 (შვიდი ათასი) ლარის ოდენობით, რაც განკუთვნილია ბრალდებულის, ნური ჭკადუას საპროცესო შეთანხმებისათვის. პირობების დარღვევის შემთხვევაში ადვოკატი ირაკლი მახათაძე ვალდებულია ხსენებული თანხა 7000 ლარის ოდენობით სრულად დაუბრუნოს ბრალდებულის, ნური ჭკადუას დედას და ოჯახს, შესაბამისი ანგარიშიდან“.* მოცემულ შეთანხმებაშიც არ არის განსაზღვრული ზუსტად,

თუ რა მიზნით იქნა გადაცემული 7000 ლარი ადვოკატზე, იყო ეს საპროცესო შეთანხმების გაფორმების შემთხვევაში გადასახდელი ჯარიმა თუ იყო საპროცესო შეთანხების გაფორმების მიღწევისთვის ადვოკატის წარმატების ჰონორარი. ნებისმიერ შემთხვევაში, ადვოკატი ირაკლი მახათაძე ვალდებული იყო საჩივრის ავტორისთვის მიეწოდებინა ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია აღნიშნული თანხის მიზნობრიობაზე, რაც ადვოკატის მხრიდან არ განხორციელებულა.

8.16. სამოქალაქო ურთიერთობის დროს ნებათა კონფლიქტის არსებობის პირობებში ნების განმარტება ხდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის მიხედვით, რომლითაც „ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან“. მოცემულ შემთხვევაშიც, ეთიკის კომისია ეყრდნობა აღნიშნულ მუხლს, რის გამოც მხარეთა ნება უნდა განიმარტოს არამარტო ხელწერილში მითითებული ფრაზებით, ასევე ის უნდა შეესაბამებოდეს ფაქტობრივ გარემოებებს.

8.17. წარმოდგენილი მტკიცებულებების - საჩივრის ავტორის, მოწმის და ადვოკატის განმარტებების, ხელწერილის და თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ მანანა ბერიას მიერ ადვოკატისთვის გადაცემული თანხა - 1150 ლარი ითვალისწინებდა, როგორც მომსახურების, ასევე საგამოძიებო მოქმედებებისთვის გათვალისწინებულ თანხებს, ვინაიდან თავად ადვოკატი ადასტურებს, რომ ამ თანხის ფარგლებში მას სხვა ვალდებულებებიც ჰქონდა ნაკისრი, მათ შორის ექსპერტიზის ჩატარება (პარ. 3.3 და 6.1.5).

8.18. რაც შეეხება 7000 ლარს, გარდა საჩივრის ავტორის განმარტებისა, საქმეში წარმოდგენილი მოწმე რუსუდან იოსავას პოზიციით, ადვოკატმა ირაკლი მახათაძემ მას ოჯახის წევრების თანდასწრებით განუცხადა, რომ პროკურატურა საპროცესო შეთანხმებისთვის ითხოვდა 7000 ლარს (პარ. 6.1.6). ადვოკატი საჩივრის ავტორთან და მისი ოჯახის წევრებთან საუბრისას არ მიუთითებდა საპროცესო შეთანხმების გაფორმებისთვის აუცილებელ ჰონორარზე, მისი განმარტებები გულისხმობდა საპროცესო შეთანხმების გაფორმებისთვის გადასახდელ ჯარიმის თანხას. სისხლის სამართალში არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, რთულად წარმოსადგენია საპროცესო გარიგების მიღწევა სასჯელის მინიმალურ ოდენობაზე ჯარიმის გადახდის ვალდებულების გარეშე.

8.19. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ ადვოკატ ირაკლი მახათაძეს არც წერილობითი ფორმით და არც ზეპირი კომუნიკაციის გზით არ აქვს სწორი და ზუსტი ინფორმაცია მიწოდებული თანხების მიზნობრიობის თაობაზე. შეუძლებელია ადვოკატ ირაკლი მახათაძის მხრიდან კლიენტის საქმის წარმოების პროცესში მიღებული თანხების გამიჯვნა. შესაბამისად, ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატ ირაკლი მახათაძის მიერ დარღვეულია ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით კლიენტის ინფორმირების ვალდებულება, რაც ზიანის მომტანია კლიენტისთვის, რომელმაც არ იცის მის მიერ ადვოკატისთვის გადაცემული თანხები რას მოხმარდა.

8.20. ეთიკის კომისიამ ასევე დაადგინა, რომ ადვოკატ ირაკლი მახათაძემ კლიენტის საქმის წარმოების დროს არ აწარმოა ხარჯთაღრიცხვა და კლიენტისგან მიღებული ფულადი თანხები არ განათავსა ცალკე სახით. ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ ირაკლი მახათაძის მიერ შემდეგი მუხლების დარღვევის თაობაზე:

„ადვოკატმა უნდა აწარმოოს სრული და ზუსტი ჩანაწერი კლიენტის მიერ გადახდილ საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით“ (აპეკ, მუხლი 8.12).

ნებისმიერი ფულადი სახსრები ან ქონება, რომელსაც კლიენტი მიანდობს ადვოკატს უნდა ინახებოდეს დამოუკიდებლად ადვოკატის პირადი ფულადი სახსრების ან ქონებისაგან და იმართებოდეს კეთილსინდისიერად. ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ანგარიშგება (აპეკ, მუხლი 8.13).

8.21. ადვოკატის ფიდუციური ვალდებულებებიდან ერთ-ერთ მნიშვნელოვან ვალდებულებას წარმოადგენს მინდობილი თანხების შესახებ ხარჯთაღრიცხვის წარმოება და კლიენტისათვის წარდგენა. ადვოკატი ვალდებულია კლიენტის მოთხოვნის მიუხედავად აღრიცხული ჰქონდეს კლიენტისგან მიღებული ქონება და ფულადი თანხები, რადგან კლიენტს ნებისმიერ დროს შეეძლოს ინფორმაციის მოპოვება. აღნიშნული ვალდებულება მჭიდრო კავშირშია კლიენტის მიერ ადვოკატისთვის მინდობილი ქონების და ფულადი სახსრების კეთილსინდისიერად მართვის ვალდებულებასთან, ვინაიდან ადვოკატმა უნდა უზრუნველყოფს კლიენტისგან მიღებული ქონების თუ ფულადი სახსრების შენახვა დამოუკიდებლად და გამოცალკევება მისი პირადი სახსრებისგან.

8.22. კლიენტის მიერ ჰონორარის სახით გადაცემული თუ სხვა მინდობილი თანხების ცალკე შენახვის წესთან დაკავშირებით არ არსებობდა ერთიანი წესი დისციპლინური საქმის მონაწილე მხარეებს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის არსებობის პერიოდში. „საბანკო დაწესებულებებში ანგარიშების გახსნის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 7 აპრილის N24/04 ბრძანებაში 2018 წლის 7 დეკემბრის ცვლილებების შეტანის შემდეგ ადვოკატებისთვის გათვალისწინებული იქნა ნომინალური მფლობელობის ორი ანგარიში: ერთობლივი ან სეგრეგირებული (მუხლი 1. „ტ“ და „უ“ ქვეპუნქტები). ერთობლივი ანგარიშის შემთხვევაში კლიენტების ერთიანი ანგარიშის შექმნა არის შესაძლებელი, ხოლო სეგრეგირებულის დროს ანგარიში იხსნება მხოლოდ ერთი კონკრეტული კლიენტისთვის. ორივე შემთხვევაში დაცულია აპეკ-ის 8.13 მუხლის მოთხოვნები. ამ რეგულირების დაწესებამდეც, ადვოკატს შეეძლო ცალკე ანგარიშის გახსნა კლიენტისგან მინდობილი თანხების განთავსებისთვის. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის 3.8 მუხლით გათვალისწინებულია შემდეგი: 3.8.1: ,,თუ ადვოკატი მისი პრაქტიკის განმავლობაში ნებისმიერ დროს მისი კლიენტის ან მესამე მხარის სახელით თანხებს მფლობელობაში მიიღებს, (შემდგომში ,,კლიენტის ფონდები“), სავალდებულოა, რომ: 3.8.1.1 აღნიშნული თანხები ყოველთვის საბანკო ანგარიშზე ან მსგავს დაწესებულებაში ინახებოდეს საჯარო დაწესებულების ზედამხედველობის ქვეშ. ადვოკატის მიერ მიღებული ყველა ასეთი თანხა ამგვარ ანგარიშზე უნდა იქნას გადახდილი გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტი დათანხმდება, რომ თანხების განკარგვა სხვაგვარად მოხდეს. 3.8.1.2 ნებისმიერი ანგარიში, რომელზეც ადვოკატის სახელით

კლიენტის თანხები ინახება, სათაურში ან დანიშნულებაში უნდა მიუთითებდეს, რომ თანხები ინახება კლიენტის ან ადვოკატის კლიენტების სახელით. 3.8.1.3 ნებისმიერი ანგარიში ან ანგარიშები, რომლებზეც კლიენტის თანხები ადვოკატის სახელით ინახება ყოველთვის უნდა მოიცავდეს თანხას, რომელიც არ არის ნაკლები ადვოკატის მიერ შენახული კლიენტების თანხების სრული ოდენობისა."

8.23. ადვოკატმა მიიღო 1500 ლარი, რომლის გაურკვეველი ნაწილი უნდა მოხმარებოდა ავტომობილის ექსპერტიზას, მან ასევე მიიღო 7000 ლარის, სამომავლო ჯარიმის გადასახდელად. ეს თანხები, ისევე როგორც ნებისმიერი თანხა, რომელიც ადვოკატს არ გამოუმუშავებია და შეიძლება დაექვემდებაროს კლიენტისთვის დაბრუნებას აპეკ-ის 8.15 მუხლის შესაბამისად წარმოადგენს მინდობილ თანხებს. აღნიშნული თანხები უნდა ინახებოდეს ადვოკატის ქონებისგან განცალკევებულად და ადვოკატმა მათზე უნდა მიაწოდოს სრული ანგარიშგება კლიენტს. ამასთან, „იმ ფაქტის მტკიცების ტვირთი, რომ ადვოკატმა კლიენტს წინასწარ მიაწოდა ინფორმაცია თანხის მიზნობრიობასთან დაკავშირებით და შემდეგ წარუდგინა ანგარიშგება, ეკისრება ადვოკატს" (ეთიკის კომისიის 2018 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმეზე №084/13), რაც ადვოკატ ირაკლი მახათაძეს დისციპლინური საქმის წარმოების პერიოდში არ განუხორციელებია.

8.24. ადვოკატმა თანხები მიიღო ხელზე და არ შეუთანხმებია კლიენტისთვის თუ სად განათავსებდა მათ. მანანა ბერიას ჰქონდა მოლოდინი, რომ ეს თანხები მოხმარდებოდა საპროცესო ხარჯებს და საპროცესო ჯარიმის გადახდას, თუმცა ადვოკატმა ისინი ამ მიზნობრიობით არ გამოიყენა (პარ. 6.1.8; 6.1.9; 6.1.10; 6.1.11). მინდობილი სახსრები ადვოკატმა არ განათავსა დამოუკიდებელი სახით, რითაც საფრთხე შეუქმნა კლიენტის ქონებას.

8.25. ასევე ადვოკატმა დაარღვია კლიენტისგან მიღებული ფულადი თანხების კლიენტისთვის დაბრუნების ვალდებულება:

> *„კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელების ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსაგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისაგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი"* (აპეკ, 8.15 მუხლი).

8.26. კლიენტისგან მინდობილი თანხების ცალკე ანგარიშზე განთავსების დროს, ადვოკატმა მხოლოდ კლიენტთან შეთანხმებით უნდა გადაწყვიტოს ამ თანხის განკარგვის საკითხი. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დასრულების შემდეგ კი ადვოკატმა უნდა დაუბრუნოს კლიენტს გამოუმუშავებელი ჰონორარი და ყველა ის ფულადი სახსრები, რომლებიც კლიენტისგან მისი საქმის წარმოებისთვის მიიღო, მაგრამ არ გამოიყენა. აღნიშნული ვალდებულება ვრცელდება, როგორც კლიენტის, ასევე ადვოკატის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევებზე.

8.27. ,,ადვოკატმა არ უნდა დაუშვას იმ ფულადი სახსრების დაყოვნება, რაიმე სახით საკუთარ ანგარიშზე თუ პირად სალაროში შენახვა, რომელიც არ წარმოადგენს ადვოკატის ქონებას.

კლიენტის მიერ ფულადი თანხის მინდობა ადვოკატისათვის, ამ უკანასკნელისათვის წარმოშობს ვალდებულებას, მინდობილი თანხა კლიენტის მითითებისამებრ, კონკრეტული დანიშნულებით გამოიყენოს. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიერ მინდობილი თანხის გამოყენება აღარ არის საჭირო, მნიშვნელობა არ აქვს სუბიექტური თუ ობიექტური საფუძვლის გამო, ადვოკატს პროფესიული ეთიკური ვალდებულებიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ფარგლებში, ეკისრება პასუხისმგებლობა შეძლებისდაგვარად უმოკლეს დროში აცნობოს კლიენტს თანხის დაბრუნების შესახებ და პირველი შესაძლებლობისთანავე, ყოველგვარი დაყოვნებისა და კლიენტთან შეთანხმების გარეშე, მინდობილი ქონების სხვა ქმედების განსახორციელებლად გადამისამართების არიდებით, უკლებლივ დაუბრუნოს კლიენტს ამ უკანასკნელის კუთვნილი თანხა, თუ სხვა ქონება. ეთიკური ვალდებულებების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას.“ (ეთიკის კომისიის 2012 წლის 02 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე N003/12, პარ. 7.13)

8.28. ადვოკატმა ირაკლი მახათაძემ მანანა ბერიასგან მიიღო შემდეგი თანხები: 1) საქმეში ჩართვისთვის მიიღო 400 ლარი (პარ.6.1.2), რომელსაც ადასტურებს ადვოკატი, თუმცა საჩივრის ავტორი ასახელებს 500 ლარს. 2) 1150 ლარი, რომელიც გათვალისწინებული იყო მანქანის ექსპერტიზის ჩატარებისთვის, ასევე ის წარმოადგენდა ადვოკატის ჰონორარს (პარ. 6.1.3); 3) 7000 ლარი, რომელიც ადვოკატმა მიიღო საპროცესო შეთანხმების გაფორმების შემთხვევაში ჯარიმის თანხის გადასახდელად (პარ. 6.1.7); დანარჩენი თანხების მიღებას კომისია ვერ ადგენს, რადგან ამის დასტურად მხოლოდ მოწმის ჩვენებაა წარმოდგენილი, ხოლო არსებული სასამართლო პრაქტიკით თანხის გადაცემა მხოლოდ მოწმის ჩვენებით ვერ დადგინდება (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე Nას-1541-1547-2011; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება, საქმე Nას-635-602-2014).

8.29. საჩივრის ავტორის მოთხოვნის მიუხედავად, ადვოკატმა მანანა ბერიას არ დაუბრუნა ნური ჭკადუას ინტერესების დაცვის პროცესში მიღებული საპროცესო მოქმედებებისთვის გათვალისწინებული თანხები. საჩივრის ავტორმა ადვოკატის მიმართ სასარჩელო წესით მოითხოვა 7000 ლარის დაკისრება, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დაკმაყოფილდა. თუმცა, ადვოკატმა არც სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულება შეასრულა.

8.30. ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატ ირაკლი მახათაძის მხრიდან დარღვეულია კლიენტისგან მიღებული ფულადი სახსრების დაბრუნების ვალდებულება.

8.31. ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ არ დასტურდება ადვოკატ ირაკლი მახათაძის მხრიდან კლიენტისთვის გარანტიის მიცემა (აპეკ, მუხლი 8.3) და საადვოკატო საქმიანობის პროცესში უკანონო მოქმედებების შესრულება(„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 6.1). კომისია აღნიშნავს, რომ მხოლოდ მოწმის განმარტება, რომ ადვოკატმა მანანა ბერიას ოჯახს

უთხრა, რომ გარკვეულ პირთა დახმარებით შეძლებდა საპროცესო შეთანხმების გაფორმებას და ახალი წლისთვის ნური ჭკადუას საპატიმრო დაწესებულებიდან გამოიყვანდა, არ არის საკმარისი მტკიცებულება, რომ ადვოკატის მხრიდან კლიენტისთვის გარანტიის მიცემა დადასტურდეს. ასევე, კომისიამ მიიჩია, რომ საქმეში არ დასტურდება ადვოკატ ირაკლი მახათაძის მხრიდან ნური ჭკადუასთვის საპატიმრო დაწესებულებაში წერილების შეტანის ან გამოტანის ფაქტი.

8.32. ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის ხასიათიდან და სიმძიმიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატს უნდა დაეკისროს დისციპლინური სახდელი - საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 1 (ერთი) წლის ვადით.

8.33. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლი განსაზღვრავს დისციპლინური სახდელის სახეებსა და ზემოქმედების ღონისძიების ფორმებს, რომელიც შესაძლოა ადვოკატს დაეკისროს დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში. ეს სახდელებია: გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, ხოლო ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

8.34. ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 2(5) მუხლი უთითებს, რომ ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი.

8.35. „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი – კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2015 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-15).

8.36. „სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2017 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-17).

8.37. „ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან შეფარდებული სახდელის პროპორციულობის განხილვისას ეთიკის კომისიამ უნდა გაითვალისწინოს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სახე, სიმძიმე, პროფესიისათვის მიყენებული ზიანი, კლიენტისათვის მიყენებული ზიანი, ადვოკატის პიროვნება, მისი რეპუტაცია, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომები, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმა და სხვა

გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზნის მისაღწევად“ (ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N098/17, პარ. 8.21).

8.38. ეთიკის კომისიამ დაადგინა ადვოკატის მიერ შემდეგი დისციპლინური დარღვევები: ადვოკატი ირაკლი მახათაძე მის კლიენტს, მანანა ბერიას არასწორ ინფორმაცია აწვდიდა საპროცესო შეთანხების თაობაზე; ადვოკატმა არ მიაწოდა ზუსტი ინფორმაცია საჩივრის ავტორს ჰონორარის ოდენობისა და გამოთვლის წესის, ასევე საქმის მიმდინარეობის შესახებ და არ განუმარტა ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება; ადვოკატმა არ აწარმოა ხარჯთაღრიცხვა, კლიენტისგან მიღებული ფულადი სახსრები არ განათავსა დამოუკიდებელი სახით და ადვოკატმა არ დაუბრუნდა კლიენტს საქმის წარმოების პროცესში მიღებული ფულადი თანხები.

8.39. ჩამოთვლილი მოქმედებებით ადვოკატმა ზიანი მიაყენა არამარტო საკუთარ კლიენტს, ასევე ეჭქვეშ დააყენა ადვოკატის პროფესიის მიმართ სანდოობა. გარდა იმისა, რომ კლიენტმა მიიღო ადვოკატისგან არაჯეროვანი მომსახურება, ადვოკატმა ურთიერთობის დასრულების შემდეგაც ვერ უზრუნველყო კლიენტისთვის ფინანსური ზიანის შემცირება, რომელიც მას არამარტო პროფესიული ნორმების შესაბამისად, ასევე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზეც ეკისრებოდა. ადვოკატმა მონაწილეობა არ მიიღო განხილვის კოლეგიის და ეთიკის კომისიის სხდომებში, მან არ გამოხატა სინანული ჩადენილი დარღვევების გამო და არც ამით გამოწვეული კლიენტის ქონებრივი ზიანის შემცირების მცდელობა ჰქონია.

8.40. დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას ასევე გასათვალისწინებელია ეთიკის კომისიის პრაქტიკა მსგავს დარღვევებზე: საქმეზე №077/16, ეთიკის კომისიის 2018 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით, არაკვალიფიციური მომსახურების, ინფორმაციის მიუწოდებლობის და კლიენტის საქმეზე მიღებული დოკუმენტაციის დაუბრუნებლობის საფუძვლით ადვოკატის მიმართ განისაზღვრა დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმა - საქმიანობის უფლების შეჩერება 6 (ექვსი) თვის ვადით; საქმეზე №003/12, ეთიკის კომისიის 2012 წლის 02 ივლისის გადაწყვეტილებით არაკვალიფიციური მომსახურების, ინფორმაციის მიუწოდებლობის და კლიენტისგან მიღებული ფულადი თანხების განცალკევებით შენახვის ვალდებულების დარღვევის საფუძვლით, ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვრა საქმიანობის უფლების შეჩერება 1 (ერთი) წლის ვადით.

8.41. გადაწყვეტილების გამოტანის დროისათვის, ადვოკატს არ აქვს შეფარდებული სხვა დისციპლინური სახდელი, რის გამოც ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ არ არსებობს ადვოკატ ირაკლი მახათაძისთვის საადვოკატო საქმიანობის უფლების შეწყვეტის საფუძველი, თუმცა გადაცდომათა სიმრავლის, მათი სიმძიმის და ეთიკის კომისიის პრაქტიკის გათვალისწინებით ადვოკატ ირაკლი მახათაძის მიმართ გამოყენებული უნდა იქნა დისციპლინური სახდელის ფორმა - საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 1 (ერთი) წლის ვადით.

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32.1, 34.1(ბ,გ) მუხლებით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 19-ე, 39-ე და 40-ე მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №008/17 ადვოკატ ირაკლი მახათაძის მიმართ /სიითი №2818/ დისციპლინური სახდელის ფორმად განისაზღვროს საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 1 (ერთი) წლის ვადით.
2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. ადვოკატ ირაკლი მახათაძე უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადაწყვეტილების მისთვის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

   გადაწყვეტილებას ერთვის ეთიკის კომისიის წევრების, ქეთევან უტიაშვილის და ინგა სეხნიაშვილი განსხვავებული აზრები.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კომისიის წევრი: /კონსტანტინე გელაშვილი/

კომისიის წევრი: /ანა ხურციძე/

კომისიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კომისიის წევრი: /ქეთევან უტიაშვილი/

კომისიის წევრი: /ინგა სეხნიაშვილი/

კომისიის წევრი: /ხათუნა ფურელიანი/

კომისიის წევრი: /ირაკლი კორძახია/

კომისიის წევრი: /ია გაბედავა/

კომისიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის წევრის ინგა სეხნიაშვილის განსხვავებული აზრი

ეთიკის კომისიის №008/17 გადაწყვეტილებაზე,

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2021 წლის 16 მარტის გადაწყვეტილებით ადვოკატ ირაკლი მახათაძის მიმართ დისციპლინური სახდელის ფორმად განისაზღვა საადვოკატო საქმიანობის უფლებამოსილების შეჩერება 1 წლის ვადით (დისციპლინურ საქმეზე 008/17). გამოვხატავთ პატივისცემას ჩემი კოლეგების მიმართ, მაგრამ მიმაჩნია რომ გამოყენებული სახდელის ზომა ზედმეტად მკაცრია.

ვეთანხმები ეთიკის კომისიის მთლიანი შემადგენლობის მიერ დადგენილ დარღვევებს, რომლებიც განხორციელდა ადვოკატ ირაკლი მახათაძის მიერ, თუმცა განსხვავებული მოსაზრება მაქვს ადვოკატის მხრიდან კლიენტისთვის საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევის ნაწილში (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.6 მუხლი).

ადვოკატმა ირაკლი მახათაძემ საჩივრის ავტორთან 2017 წლის 29 აგვისტოს გააფორმა ხელწერილი, რომლის საფუძველზეც ადვოკატმა მიიღო 1150 ლარი და აიღო *ვალდებულება „განახორციელოს ბრალდებულ ნური ჭკადუას ინტერესების დაცვა გამოძიებაში და სასამართლოში, დაცვის კუთხით, ექსპერტიზების ჩატარება, კანონის გათვალისწინებით განახორციელოს დაცვისთვის საჭირო და აუცილებელი საგამოძიებო მოქმედებები“.* ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატს არ ჰქონდა პროფესიული ნორმებით დადგენილი ვალდებულება შესრულებული, რადგან მან არ მიაწოდა კონკრეტული ინფორმაცია კლიენტს თუ რას მოხმარდებოდა მის მიერ გადახდილი 1150 ლარი. მიმაჩნია, რომ ხელწერილში გათვალისწინებულია ადვოკატის მხრიდან შესასრულებელი ვალდებულებები და დაკონკრეტებულია ამ ვალდებულების შესრულებისთვის მისაღები

ჰონორარის თანხა, შესაბამისად ადვოკატს დაცული აქვს პროფესიული ნორმებით დაცული პრინციპი - თანხის მიზნობრიობის თაობაზე კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდების სახით. ასევე, აღნიშნული ვალდებულება დაცულია 2018 წლის 26 სექტემბერს გაფორმებული ხელწერილის ნაწილშიც. ადვოკატმა ირაკლი მახათაძემ 2018 წლის 26 სექტემბერს გაფორმებული ხელწერილის საფუძველზე საჩივრის ავტორისგან მიიღო 7000 ლარი. ხელწერილის მიხედვით ეს თანხა *„განკუთვნილი იყო ბრალდებულის, ნური ჭკადუას საპროცესო შეთანხმებისათვის“.* ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ ეს თანხა წარმოადგენდა საპროცესო შეთანხმების გაფორმებისთვის გადასახდელ ჯარიმის თანხას, თუმცა მიმაჩნია, რომ აღნიშნული თანხა ადვოკატმა საპროცესო შეთანხმების გაფორმებისთვის საჭირო მოქმედებების სანაცვლოდ, ჰონორარის სახით მიიღო, რაც გამომდინარეობს ხელწერილის შინაარსიდან. შესაბამისად, ადვოკატმა კლიენტს ხელწერილის საფუძველზე მიაწოდა ინფორმაცია, თუ რას მოხმარდებოდა მის მიერ გადახდილი 7000 ლარი, რის გამოც ადვოკატის მხრიდან დაცულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.6 მუხლი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობ არ არის დაცული პროპროციულობის პრინციპი სახდელის დაკისრების ნაწილში და ვერ დავეთანხმები ეთიკის კომისიის წევრების მიერ გამოყენებულ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომას, რადგან ის აშკარად არათანაზომიერია ადვოკატის მიერ ჩადენილ გადაცდომასთან მიმართებით. მიმაჩნია, რომ ადვოკატ ირაკლი მახათაძის მიმართ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების შერჩევისას უნდა გამოყენებულიყო უფრო ლმობიერი ღონისძიება - სახდელი გაფრთხილების სახით.

კომისიის წევრი: /ინგა სეხნიაშვილი/

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის წევრის ქეთევან უტიაშვილის განსხვავებული აზრი

ეთიკის კომისიის №008/17 გადაწყვეტილებაზე,

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

გამოვხატავ პატივისცემას ჩემი კოლეგების მიმართა, რომლებმაც განიხილეს მანან ბერიას საჩივარი ადვოკატ ირაკლი მახათაძის მიმართ და 2021 წლის 16 მარტს მიიღეს გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ საადვოკატო საქმიანობის უფლებამოსილების 1 წლით

შეჩერების თაობაზე (დისციპლინურ საქმეზე 008/17), თუმცა ვაფიქსირებ ნაწილობრივ განსხვავებულ აზრს დადგენილი დარღვევების და ადვოკატ ირაკლი მახათაძის მიმართ გამოყენებული დისციპლინური ღონისძიების ნაწილში.

მიმაჩნია, რომ კეთილსინდისიერი და კვალიფიციური წარმომადგენლობის, ჰონორარის ოდენობისა და გამოთვლის წესის, ფინანსური ვალდებულების შესახებ ინფორმაციის მიწოდების, ხარჯთაღრიცხვის წარმოების და კლიენტისგან მიღებული ფულადი თანხების ცალკე სახით შენახვის ვალდებულებებთან მიმართებით ადვოკატ ირაკლი მახათაძეს არ უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა, ვინაიდან აღნიშნული პრეტენზიების წარმოდგენის დროს საჩივრის ავტორი არის არასათანადო მხარე. თუმცა, ადვოკატ ირაკლი მახათაძის მიერ დარღვეულია საჩივრის ავტორისგან მიღებული თანხიდან გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ვალდებულება (ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლი), რის გამოც მის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს დისციპლინური სახდელი - გაფრთხილების სახით.

ეთიკის კომისიამ ჩათვალა, რომ საჩივრის ავტორი მანანა ბერია წარმოადგენდა უფლებამოსილ პირს დაეფიქსირებინა პრეტენზია ადვოკატის მიმართ ეთიკის კოდექსის 8.5, 8.6, 8.12, 8.13 მუხლების ნაწილში. აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებები მიმართული ადვოკატის მიერ დასაცავი პირის მიმართ, რომელიც მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს არა საჩივრის ავტორს, არამედ მისი შვილს - ნური ჭკადუას. თავად ამ უკანასკნელს ეთიკის კომისიაში პრეტენზიები ადვოკატის მიმართ არ დაუფიქსირებია. ეთიკის კომისიის დისკრეცია გამომდინარეობს საქმის განხილვის ინტერესიდან, რომელიც შეიძლება გააჩნდეს პირს, რომლის მიმართაც ადვოკატმა დაარღვია ეთიკური ვალდებულებები. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატ ირაკლი მახათაძეს უნდა დაეცვა ნური ჭკადუას უფლებები, მანანა ბერია კი წარმოადგენდა მხოლოდ ხელშეკრულების მონაწილე მხარეს. მას, როგორც სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ პირს უფლება აქვს მოითხოვოს ადვოკატისგან გადახდილი თანხის დაბრუნება, მაგრამ ვერ ექნება იმ ვალდებულებების შესრულების მოთხოვნის უფლება, რომელიც ადვოკატს აკისრია დასაცავი პირის მიმართ.

„ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან შეფარდებული სახდელის პროპორციულობის განხილვისას ეთიკის კომისიამ უნდა გაითვალისწინოს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სახე, სიმძიმე, პროფესიისათვის მიყენებული ზიანი, კლიენტისათვის მიყენებული ზიანი, ადვოკატის პიროვნება, მისი რეპუტაცია, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომები, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმა და სხვა გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზნის მისაღწევად“ (ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება საქმე N098/17).

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ საჩივრის ავტორი უფლებამოსილი განმცხადებელია მხოლოდ ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლის ფარგლებში დადგენილი

პრეტენზიების წარმოდგენისას, რის გამოც სახდელის პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით მის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს უფრო მსუბუქი ღონისძიება.

შესაბამისად, ვხელმძღვანელობ ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 2.5 და 35.2 მუხლებით, ადვოკატთა შესახებ“ კანონის 34.1(ბ) მუხლით და დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ ადვოკატ ირაკლი მახათაძისთვის დისციპლინური სახდელის სახით გაფრთხილების გამოყენება იქნებოდა სამართლიანი და პროპორციული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევის გამო.

კომისიის წევრი: /ქეთევან უტიაშვილი/